სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“

ეთიკის კომისიის თავმჯდომარის

გადაწყვეტილება №018/18

ქ.თბილისი, 10 ოქტომბერი, 2018 წელი

სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის

განხილვის კოლეგიის ალტერნატიული წევრის დანიშვნის თაობაზე

2018 წლის 10 ოქტომბერს მესამე დისციპლინური კოლეგიის თავმჯდომარემ ქეთევან უტიაშვილმა მოხსენებითი ბარათით მომართა ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს, რომლის მიხედვითაც მისი კოლეგიის წევრი ხათუნა ჩხაიძე პროფესიული საქმიანობით გამოწვეული დაკავებულობის გამო ვერ მიიღებს მონაწილეობას დისციპლინური საქმის №084/13 განხილვის წესით განხილვაში.

მესამე დისციპლინური კოლეგიის თავმჯდომარის თხოვნით, ეთიკის კომისიის თავმჯდომარის მიერ აღნიშნული საქმის განხილვისას, კოლეგიის წევრთა რაოდენობის შევსების მიზნით, №084/13 საქმის განხილვისას ალტერნატიულ წევრად დაინიშნოს თორნიკე ბაქრაძე.

ვიხელმძღვანელე რა ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტით, განხილვის კოლეგიის წევრთა რაოდენობის შევსების მიზნით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. ეთიკის კომისიის თავმჯდომარე თორნიკე ბაქრაძე დაინიშნოს მესამე დისციპლინურ კოლეგიაში ალტერნატიულ წევრად დისციპლინური საქმის №084/13 განხილვისათვის საჭირო ვადით.
2. გადაწყვეტილება ძალაშია მისი მიღებისთანავე.
3. ეთიკის კომისიის აპარატს დაევალოს, გადაწყვეტილების თაობაზე ეთიკის კომისიის შესაბამისი წევრების ინფორმირება.

თორნიკე ბაქრაძე

ეთიკის კომისიის თავმჯდომარე